# თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# ბიუროს სხდომის

# ო ქ მ ი № 19

„12“ ოქტომბერი 2018 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე გიორგი ჩაბრაშვილი, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ალექსი ძულიაშვილი, ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე არჩილი თვალიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე.
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი.
მოქალაქეები: მაკა მოსიაშვილი, არჩილ მჭედლიშვილი.

## დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:

1. მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

1.მოისმინეს: მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ა.ძულიაშვილმა, გ.ორკოდაშვილმა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა.ა.ი.პ. „მოვუსმინოთ სამყაროსთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე წარმოდგენილი პროექტი მიზანშეწონილია განიხილოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საქმეთა კომისიამ, ხოლო ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შესახებ წარმოდგენილი პროექტები კი საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიამ. მან ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხები სურვილის მიხედვით შეუძლიათ განიხილონ ფრაქციებმა.

გადაწყვიტეს: მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტები საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილდეს შემდეგი სახით:

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროსთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების,
ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისია:

1. ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ.
2. ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (მგგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე